საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა საჯარო-კერძო პარტნიორობის პირობებში: გამოწვევები და პერსპექტივები

მერაბ ვანიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
m.vanishvili@gtu.ge
ნინო ვანიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
n.vanishvili@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: საჯარო-კერძო პარტნიორობა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; პროექტი; კონცესია; ლოჯისტიკური ობიექტი.
J.E.L. Classification: R4, E62 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.03

ციტირებისთვის: Vanishvili, M., Vanishvili, N. (2025) Georgia's Transport Infrastructure under Public-Private Partnership: challenges and prospects (in English). Economic Profile, Vol. 20, 2(30), p. 35-44. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.03

ანოტაცია. *სტატიაში, უახლესი ლიტერატურული წყაროებისა და სათანადო ფაქტობრივი მონაცემების შესწავლის საფუძველზე, განხილულია ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხი - საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა საჯარო-კერძო პარტნიორობის პირობებში, მისი პრობლემები და პერსპექტივები.*

საკითხის ფუნდამენტურად შესწავლის საფუძველზე, გამოვლენილია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორული თანამშრომლობის გაღრმავების ხელშემშლელი შემდეგი გამოწვევები: ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, წამყვანი პოლიტიკური ძალის იდეოლოგიური შეხედულებები, საზოგადოებაში დამკვიდრებული მითები, საზოგადოების ობიექტურ და მარალხარისხიან ანალიტიკურ ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობა და აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე.

კვლევის შედეგების განზოგადების გზით, დასაბუთებულია, რომ საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკური ობიექტების კერძო სექტორთან ერთობლივი მართვის ან ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ოპტიმალური ფორმა საჯარო-კერძო პარტნიორობა გახდება.

შემოთავაზებულია სათანადო რეკომენდაციები: გამჭვირვალე საკანონმდებლო-სამართლებრივი ჩარჩოსა და რეგულაციების დამკვიდრება, ინსტიტუციურ შესაძლებლობათა გაზრდა და გაძლიერება, პროექტების მომზადების, შეფასებისა და შერჩევის პროცედურათა გაუმჯობესება, რისკების განაწილების რაციონალიზება, თავისუფალი კონკურენციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რეგულაციური ზედამხედველობის დამკვიდრება და გაძლიერება.